პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

8 თებერვალი
ხუთშაბათი,
№ 28 (1879)
1962 წ.
გამოდის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

ვ. ბრუმელს — ჰელმსის ჯილდო

1936 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ეგრეთწოდებული ჰელმსის ათლეტური ფონდი, რომელიც ყოველწლიურად სპეციალურ ვერცხლის ჯილდოებს გადასცემს ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის გამოჩენილ სპორტსმენებს.

გასული წლის სპორტული შედეგების მიხედვით ევროპელ სპორტსმენთაგან ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა სახელგანთქმულ საბჭოთა მძლეოსანს, მსოფლიო რეკორდსმენს სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელს. აზიელი სპორტსმენებიდან ჯილდო დაიმსახურა მსოფლიო რეკორდსმენმა თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში იაპონელმა ც. იამანაკამ, 1961 წელს 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოში საუკეთესო შედეგის (20,7 წ) მფლობელმა ნიგერიელმა მძლეოსანმა ა. აბუმ (აფრიკა), მსოფლიო რეკორდსმენმა ქალთა შორის თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში დ. ფრეზერმა (ავსტრალია), მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონმა (ჩრდილოეთ ამერიკის სპორტსმენებიდან), ბრაზილიელმა კალათბურთელმა, მელბურნისა და რომის ოლიმპიადების პრიზიორმა ვ. მარკესმა (სამხრეთ ამერიკის სპორტსმენებიდან).

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ჰელმსის ჯილდოს მფლობელები იყვნენ მელბურნის ოლიმპიადის გმირი ვ. კუცი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ათჭიდში ვ. კუზნეცოვი.

• • •

სურათზე: ჰელმსის ჯილდოს მფლობელი ვ. ბრუმელი ხტომის დროს.

დღეს ბოლო, XIX ტური

ფინალი ერევანში

ერევანი. (ტელეფონით). გუშინ ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. XVI ტურის დაუმთავრებელ პარტიებში ტოგონიძემ ზუსტი თამაშით მოუგო ნახიმოვსკაიას. აი მისი ფინალი (დაწყებითი პოზიცია იხილეთ 6 თებერვლის ნომერში):

41. მეg4 კd8 42. ლe1 მd4+ 43. მფb2 ლh4 44. ლ:e4 ლg3 45. ლe3 ლ:g2 46. ლf2 ლe4 47. კc3 კf5 48. მe3 ლb1+ ზ. ნახიმოვსკაია დანებდა.

იგნატიევამ მოუგო იაკირს, ხოლო როოტარემ — შადურას. ყაიმით დამთავრდა კაცკოვა-კუშნირის, კოზლოვსკაია-ლიაპუნოვას პარტიები.

XVII ტურის პარტიებში ნახიმოვსკაიამ დაამარცხა ზვორიკინა, კაცკოვამ — ბიშარდი, ვოლპერტმა — შადურა, იაკირმა — ტიხომიროვა.

ტოგონიძემ ჩინებული მანევრებით დამსახურებულ ყაიმს მიაღწია ზატულოვსკაიასთან. პარტია გაგრძელდა ასე (გადადებული პოზიცია იხილეთ 6 თებერვლის ნომერში):

41. ...კ:f5 42. მ:f5+მფe6 43. მg7+მფf7 44. ეd7+მფg6 45. g4 ე:c4 46. h3 ეc7 47. ე:c7 კ:c7 48. მf5 კe5 49. მფe2 მფf7 50. მფd3 მფe6 51. მფe4 კb2 52. მe3 a3 53. მf5 კa1 54. მe3 კb2 55. მf5 კc1 56. მფd4 კb2+ 57. მფe4 პოზიციის სამჯერ გამეორების გამო მ. ტოგონიძის მოთხოვნით პარტიას ყაიმი მიეცა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ვოიცეკ-კუშნირის შეხვედრა.

XVIII ტურის გადადებულ პარტიებში ყაიმით აღინიშნა ნახიმოვსკაია-როოტარეს, ზატულოვსკაია-ზვორიკინასა და იაკირ-ტოგონიძის შეხვედრები.

აი როგორ გაგრძელდა იაკირ-ტოგონიძის პარტია (შეწყვეტილი პოზიცია იხილეთ 7 თებერვლის ნომერში):

45. ლc2 მa6 46. კ:c4 bc 47. მe3 მb2 48. მd5+მფf7 49. ლb1 მc5 50. ლa2 მb+ 51. მფe2 ლ:a2 52. მ:a2 მa4 53. მ:b4 ყაიმი.

ტიხომიროვას სამი პარტია ჰქონდა სათამაშო. იგი ყაიმზე შეუთანხმდა იგნატიევას, ხოლო რანიკუსთან და ზატულოვსკაიასთან პარტიები გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

XVIII ტურის შემდეგ ვ. ბორისენკოს 13 ქულა აქვს, მ. ტოგონიძეს, ლ. ვოლპერტსა და ა. კუშნირს 12 ქულა თვითეულს.

დაუმარცხებლად

სტუდენტთა არდადეგების პერიოდში ორჯონიკიძეში ჩატარდა მოფარიკავეთა პირად-გუნდური შეჯიბრება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

რაპირით მოფარიკავე ვაჟთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ადვილად გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ჟდანოვიჩმა (ლენინგრადი). ჭაბუკთა შორის ფარიკაობის ამ სახეობაში წარმატებით გამოვიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გ. ანდრიაძე, რომელმაც დაუმარცხებლად მოიპოვა პირველობა.

განსაკუთრებული სიმძაფრით ჩატარდა ესპადრონისტთა შეხვედრები. გამარჯვებული მხოლოდ უკრაინელი სპორტის ოსტატის ვ. ჩერეპოვსკის და თბილისელი ი. კოვაჩევიჩის დამატებითმა შეხვედრამ გამოავლინა. დაძაბული ბრძოლა უკრაინელის სასარგებლოდ დამთავრდა — 5:4. ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ასათიანმა.

დაშნით მოფარიკავეთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ს გუნდის წევრი სპორტის ოსტატი ვ. ბაზარევიჩი. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა შ. სულამანიძე (უნივერსიტეტი).

ჭაბუკთა შორის კარგად გამოვიდნენ გ. ალაფიშვილი და გ. კვანტალიანი, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. პირველ ადგილზეა უკრაინელი ვ. მოდზოლევსკი.

გუნდური პირველობა მოსკოველ მოფარიკავეებს დარჩათ.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

კალათბურთი

გრძელდება კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებისათვის.

გამოვლინდა კიდევ რამდენიმე მეოთხედფინალისტი. ვარშავის „ლეგიამ" განმეორებითი მატჩი მოუგო ფინეთის ჩემპიონს „კისა ტოვერიტს" ანგარიშით 93:80 (44:40) და მოიპოვა თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება.

ისრაელის ჩემპიონმა „ხაპოელმა" (ტელ-ავივი) პირველი მატჩი მოუგო სტამბოლის „დარუსაფაკს" 4 ქულის განსხვავებით, განმეორებითი შეხვედრა ამ გუნდებს შორის გაიმართა თურქეთში. გაიმარჯვა „დარუსაფაკამ" ანგარიშით 75:70 (39:38). გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით მეოთხედფინალში გავიდა თურქეთის ჩემპიონი.

იტალიის ქალაქ ვერესში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „იგნისი" და მადრიდის „რეალი". გაიმარჯვეს იტალიელებმა — 82:60. ანტვერპენში ადგილობრივმა „ანტვერპსემ" დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი „ბანიოლე" — 87:61.

ქალთა გუნდებს შორის წარმატებით გამოდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი „აუგსბურგი". ამას წინათ მან ვენაში დაამარცხა „ნიბელუნგენი" — 51:42 (21:16). ბუქარესტში ადგილობრივმა „რაპიდმა" მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს კოლექტივს ქალაქ ჰალეს „სემი"-ს ანგარიშით 61:33 (28:9).

ხელბურთი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთელ (7:7) ვაჟთა შორის დასასრულს უახლოვდება. უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.

თასისათვის მებრძოლ უძლიერესთა ოთხეულში მოხვდნენ: პრაღის „დუკლა", „პარტიზანი" (ქ. ბელოვარი, იუგოსლავია), გფრ-ის ჩემპიონი „ფა-გეტინგენი" და დანიელთა გუნდი „ორხუსი". მეოთხედფინალში „დუკლამ" დაამარცხა გდრ-ს ჩემპიონი — 19:18 (8:11), „პარტიზანმა" — შვეიცარიის სპორტული კლუბის „ბსვ-ბერნის" გუნდი — 18:10 (11:6), „ფა-გეტინგენმა" — საფრანგეთის „ქუანვილი", „ორხუსმა" გაიმარჯვა შვეციის ჩემპიონზე — „კიკინგარანჩე"—21:19 (14:13).

მდგომარეობა XVIII ტურის შემდეგ (8 თებერვლისათვის)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	ქულათა ჯამი	ადგილი
ზ. ნახიმოვსკაია (რიგა)	1	X	½	½	0	½	½	½	1	½	½	0	0	0	½	½	0	1	½		½		
ტ. ზატულოვსკაია (ბაქო)	2	½	X	½	1	0	½	1	1	1	0	0	1	1	½	*	½	½	*	1	1		
ლ. იაკირი (კიევი)	3	½	½	X	0	0	1	½	½	0	½	½	1	0	0	1	½		0	1	0		
მ. რანიკუ (ტალინი)	4	1	0	1	X	½	0	½	½	0	0	0	0	½	0			0	0	0	1		
ა. კუშნირი (მოსკოვი)	5	½	1	1	½	X	1	1	1	0	1	½	½	½	½		0	1	0	1	1		
ე. ბიშარდი (ლენინგრადი)	6	½	½	0	1	0	X	0	1	½	½	½	0	1		0	0	½	½	1	1		
ვ. ლიაპუნოვა (ერევანი)	7	½	0	½	½	0	1	X	1	½	½	0	½		½	1	½	1	½	0	½		
ო. სემიონოვა (ლენინგრადი)	8	0	0	½	½	0	0	0	X	0	—	—	—	0	½	½	0	½	½	0	0	3	
ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი)	9	½	0	1	1	1	½	½	1	X	1		1	½	½	0	½	1	½	½	1		
ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი)	10	½	1	½	1	0	½	½	+	0	X	0	0	0	½	½	1	½	½	1			
ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი)	11	1	1	½	1	½	½	1	+		1	X	0	½	1	½	½	1	½	1	½		
ო. კაცკოვა (მოსკოვი)	12	1	0	0	1	½	1	½	+	0	1	1	X	0	½	0	½	½	½	0	½	9½	
ნ. ვოიცეკი (მოსკოვი)	13	1	0	1	½	½	0		1	½	1	½	1	X	½	0	0	0	½	½	1		
ო. იგნატიევა (მოსკოვი)	14	½	½	1	1	½		½	½	½	½	0	½	½	X	½	½	0	0	½	1		
ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი)	15	½	*	0	*		1	0	½	1	½	½	1	1	½	X	½	0	½	½	1		
მ. ტოგონიძე (თბილისი)	16	1	½	½		1	1	½	1	½	0	½	½	1	½	½	X	½	½	1	1		
კ. ზვორიკინა (მოსკოვი)	17	0	½		1	0	½	0	½	0	½	0	½	1	1	1	½	X	1	1	½		
ხ. როოტარე (ტალინი)	18	½		1	1	1	½	½	½	½	½	½	½	½	1	½	½	0	X	1	1		
ე. კაკაბაძე (თბილისი)	19		0	0	1	0	0	1	1	½	0	0	1	½	½	½	0	0	0	X	½		
ა. შადურა (კურსკი)	20	½	0	1	0	0	0	½	1	0		½	½	0	0	0	0	½	0	½	X		

ო. ფედოსეევის და ლ. მოჭინას

მსოფლიო მიღწევები

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე გამართულ „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია მოსკოველმა ო. ფედოსეევმა, რომელმაც სამხტომში აჩვენა 16 მეტრი და 15 სანტიმეტრი. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა დახურული შენობისათვის. მსოფლიო მიღწევა აჩვენა აგრეთვე ლ. მოტინამ 60 მეტრზე რბენაში 7,2.

შეჯიბრებაზე მაღალი შედეგები ჰქონდათ სიმაღლეზე მხტომელებს — ლენინგრადელ ზ. ინახინს, სარატოველ გ. ეფიმოვს და სმოლენსკელ გ. დიკს. სამივე სპორტსმენმა დაძლია 208 სმ სიმაღლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიციატივას ინიციატივა მოსდევს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, რათა საბჭოთა საზოგადოების წევრები იყვნენ ჯანმრთელი, ხალისიანი, ყოველმხრივ განვითარებული. ამიტომ სპორტული ორგანიზაციების, მწვრთნელების, სპორტსმენების წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა — უფრო მიზანდასახულად იბრძოლონ მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, რეკორდებისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის.

საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული მუშაობის გადაყვანის მისაბაძი ინიციატივის პიონერები არიან ზუგდიდელი მოჭადრაკეები, რომლებმაც თავიანთ ქალაქში პირველად ჩვენს ქვეყანაში გახსნეს ჭადრაკის ბავშვთა სპორტული სკოლა. დღევანდელ ნომერში გესაუბრებით წალენჯიხის რაიონის შეროზიას სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივის შესახებ. მოსწავლეებმა მოუწოდეს რაიონის ყველა მოსწავლეს შეისწავლონ ჭადრაკის თამაში. ამ წამოწყების შესახებ აუცილებლად უნდა იმსჯელოს საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ და დაეხმაროს მის ორგანიზატორებს.

ჩვენი სპორტული შესაძლებლობანი დიდია. გვყავს შესანიშნავი მწვრთნელები, სპორტსმენები, რომლებსაც ბევრის გაკეთება შეუძლიათ საზოგადოებრივ საწყისებზე. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ შესანიშნავი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ჯუღელის საქმიანობა, რომელიც წლების მანძილზე უსასყიდლოდ ამეცადინებს ნორჩ ტანმოვარჯიშეებს. საჭიროა სპორტის სხვა წარმომადგენლებმაც გამოიჩინონ ინიციატივა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

მოჭადრაკეთა ინიციატივა მისაბაძია ყველასათვის. კეთილშობილური საქმე, რომელიც მათ წამოიწყეს, ამაღლებს ქართული სპორტის პრესტიჟს.

ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ მოგვწერონ მათს ქალაქსა თუ რაიონში რა კეთდება საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტის განვითარებისა და დანერგვის მხრივ, მოგვითხროთ აქტივისტებზე, ენთუზიასტებზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოებრივი მშენებლობა მოითხოვს ყველა საბჭოთა ადამიანისაგან შემოქმედებით შრომასა და ერთგულებას, რათა კიდევ უფრო დავიახლოვოთ კეთილი მომავალი. ამ კეთილშობილურ მოძრაობაში ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა იყვნენ სპორტული მუშაკები და სპორტსმენები.

წალენჯიხელ მოსწავლეთა თაოსნობა

წალენჯიხის რაიონის შეროზიას სახელობის საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ამას წინათ საერთო კრებაზე იმსჯელა სკოლის ყველა მოსწავლისათვის ჭადრაკის თამაშის სწავლების შესახებ. პედაგოგებმა, მოსწავლეებმა მოიწონეს ინიციატივა, რომლის ცხოვრებაში გატარებისათვის აიღეს ვალდებულებები: ყველა კლასში შექმნან ჭადრაკის შემსწავლელი ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ საწყისებზე დააკისრეს თამაშის მცოდნეებს; გამოცდილ მოჭადრაკეთათვის სკოლაში შეიქმნას ცალკე ჯგუფი; სკოლა მომარაგდეს ჭადრაკისათვის საჭირო ინვენტარით. ამასთან, კოლექტივმა მოწოდებით მიმართა რაიონის სკოლებს „ყველა მოსწავლეს შევასწავლოთ ჭადრაკი საზოგადოებრივ საწყისებზე“.

მოსწავლეთა ინიციატივას მხარი აუბა წალენჯიხის რაიონულმა გაზეთმა „კომუნიზმის დროშით“, რომელმაც გამოაქვეყნა სკოლის მოსწავლეთა მიმართვა. რაიონის ხელმძღვანელობამ გამოჰყო დიდი ოთახი საჭადრაკო კლუბისათვის, ჩამოყალიბდა კლუბის გამგეობა, რომელმაც უკვე 40-ზე მეტი მოჭადრაკე გააწევრიანა. მიმართვა განიხილა რაიონის ყველა სკოლამ და სათანადო გადაწყვეტილებებიც მიიღო. განათლების განყოფილებაში მოწვეულ თათბირზე სკოლების დირექტორები ყოველმხრივ მხარდაჭერას დაპირდნენ მოსწავლეებს ინიციატივის განაღდებისათვის. ვაჭრობის ორგანიზაციებს მიეცათ მითითება რაიონში შემოტანილ იქნას ჭადრაკის კომპლექტები, საჭადრაკო საათები, ლიტერატურა და სხვა აუცილებელი ინვენტარი.

ჭადრაკის პოპულარიზაციის საქმეში მოსწავლეებს საზოგადოებრივ საწყისებზე დაეხმარებიან თანრიგოსანი მოჭადრაკეები. გადახალისდება რაიონის საჭადრაკო სექცია და ა. შ.

ეჭვი არ არის, რომ ენთუზიასტები საზოგადოებრივი დავალების სახით ბევრს გააკეთებენ. მაგრამ საჭიროა წალენჯიხელებს დაეხმაროს საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია გამოცდილი მოჭადრაკეების, მსაჯების, ორგანიზატორების მივლინებით. მსაჯების მოუმზადებლად წარმოუდგენელია ტურნირების გამართვა. ეს მით უმეტეს უნდა გაკეთდეს, რომ მშობლიურ ენაზე სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება საჭადრაკო წიგნები, ბიულეტენები. მიზანშეწონილი იქნება, თუ წალენჯიხელები მოავლინებენ თბილისში რამდენიმე მოჭადრაკეს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მუშაობის გასაცნობად, საჭირო კონსულტაციისა და გამოცდილების შესაძენად. ასეთივე რჩევა-დარიგების მიღება მათ შეუძლიათ მეზობელ ზუგდიდის რაიონის მოჭადრაკეებისაგან, სადაც კარგადაა დაყენებული საჭადრაკო მუშაობა. რასაკვირველია, თავის მხრივ ზუგდიდელი პირველთანრიგოსნები არ დაიზარებენ დახმარება გაუწიონ მეზობელი რაიონის მოსწავლეებს. ორი რაიონის ახლო, შემოქმედებით კონტაქტს, მეგობრობას შეუძლია კიდევ უფრო წინ წასწიოს ჭადრაკის განვითარება მათი რაიონების ახალგაზრდებს შორის.

წალენჯიხაში საზოგადოებრივ საწყისებზე დიდი საქმეა წამოწყებული. წალენჯიხელებს ღრმად სწამთ გამარჯვებისა, რომლის საწინდარია აღებული ინიციატივისადმი მათი ერთგულება.

წალენჯიხელთა ინიციატივა რაიონის მკვიდრთა წვლილია კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

თ. გიორგაძე

ჭადრაკს ისწავლის 6000 ბავშვი

წალენჯიხის სპორტის მესვეურნი კმაყოფილებით შეეგებენ შეროზიას სახელობის საშუალო სკოლის ინიციატივას, რომელმაც რაიონის ყველა მოსწავლეს მოუწოდა შეისწავლონ ჭადრაკი. ეს ადვილი როდია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რაიონში 6.000-ზე მეტი მოსწავლეა. მაგრამ თუ ყოველი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ფიზკულტურული კოლექტივი, ჭადრაკის მოყვარულნი საზოგადოებრივი ინტერესით მოეკიდებიან საქმეს, წლის ბოლომდე არც ერთი მოსწავლე არ დარჩება ჭადრაკის გარეშე.

მისაბაძ ინიციატივას მხარი დაუჭირა რაიონის სპორტკავშირის საბჭომ. მან მოიწონა მოსწავლეთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის წამოწყება, რაიონის განათლების განყოფილებამ მითითება მისცა სკოლის დირექტორებს დახმარება გაუწიონ ჭადრაკის ენთუზიასტებს, დააწესა წამახალისებელი საჩუქრები სკოლებისა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისათვის, რომლებიც ნაყოფიერად წარმართავენ მუშაობას ამ მიმართებით.

მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს არ კმარა მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. გადაწყვეტილი გვაქვს წალენჯიხის საჭადრაკო სექციის წევრებს საზოგადოებრივი წესით დავავალოთ ჭადრაკის შემსწავლელი ჯგუფებისათვის დახმარების გაწევა. ისინი ეწვევიან სოფლის სკოლებს, ჩაატარებენ საუბრებს, მისცემენ რჩევა-დარიგებას ტურნირების ორგანიზაციის საკითხში.

ინიციატივის ხორცშესხმის პირველ დღეებშივე ვიგრძენით საჭადრაკო ლიტერატურის ნაკლებობა. თუ ჭადრაკის სახელმძღვანელოს გამოცემა შეუძლებელ საქმედ გადაიქცა, რა უშლის ხელს დიდი ტირაჟით გამოიცეს „ჭადრაკის ერთიანი კოდექსი“ ქართულ ენაზე? იგი მეტად გვჭირდება.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის მუშაკები, ოსტატები და მწვრთნელები არ დაიშურებენ დროს, გაგვიზიარებენ გამოცდილებას, გვესტუმრებიან წალენჯიხაში.

შ. ლუკავა,

წალენჯიხის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ენთუზიასტი

სოფელ ღვანკითის (თერჯოლის რაიონი) კოლმეურნეობაში ახალგაზრდობა გატაცებით მისდევს სპორტს. აქ შექმნილია ფიზკულტურული კოლექტივი, რომელშიც 160 წევრია გაერთიანებული. ღვანკითელებს წარმატებებიც აქვთ. ფეხბურთსა და ფრენბურთში ისინი უძლიერესებად არიან აღიარებული რაიონის საკოლმეურნეო გუნდებს შორის.

როცა ღვანკითელთა წარმატებებზე ჩამოვარდება სიტყვა, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ სოფლის შვიდწლიანი სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი კ. რობაქიძე. იგი უკვე რამდენიმე წელია უსასყიდლოდ, საზოგადოებრივი დატვირთვის სახით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს. ბევრი ენერგია მოახმარა კ. რობაქიძემ სოფლის ახალგაზრდობაში სპორტის დანერგვას. ფეხბურთი, მძლეოსნობა, ტყვიით სროლა და ფრენბურთი აქ კარგა ხანია კულტივირებული. მიმდინარეობს მეცადინეობები, ეწყობა შეჯიბრებები. თვითონ კ. რობაქიძე კოლმეურნე სპორტსმენების მწვრთნელი და მსაჯიცაა, მას მუშაობაში ეხმარებიან აქტივისტები თ. ყიფიანი, ო. ქარქაშაძე, თ. კოზირიძე, ა. ხიდიბეგაშვილი, რომლებიც შრომაშიც მოწინავენი არიან.

კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ნ. ღიბრაძე) არ აკლებს ზრუნვას კოლექტივს. გასულ წელს კოლმეურნეობაში მშთ 1 და 11 საფეხურზე მომზადდა 24 კაცი, 18 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი, 5 სპორტსმენი მოზარდთა თანრიგში. ახალგაზრდების ძალით გაკეთდა მოედნები, მარტივი ტიპის სპორტული ბაზები. გათვალისწინებულია ახალი სექციების ჩამოყალიბება. კოლმეურნე სპორტსმენებს სწამთ, რომ ისინი განახორციელებენ დასახულს. ისინი უკვე შეუდგნენ სათანადო ინვენტარის შეძენას, სპეციალურ ლიტერატურასთან გაცნობას. ზამთრის თბილ დღეებს იყენებენ მოედნების შეკეთებისათვის, წვრთნისათვის.

ლ. ჯიჯიაშვილი

ახალგაზრდობა ყოველთვის იმედით და მომავლის რწმენით ცხოვრობს. ვინ იცის, რა გეგმებით მოვიდნენ ეს ნორჩი მოჭიდავეები პირველად საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან გიორგი ვარძელაშვილთან. ალბათ, ყოველ მათგანს ფარული განზრახვა ჰქონდა, გამხდარიყო ისეთი მოჭიდავე, როგორიც გივი კარტოზია იყო. მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფალავანმა თავისი პირველი სპორტული ნაბიჯები ხომ სწორედ გიორგი ვარძელაშვილის სახელს დაუკავშირა.

ნორჩი სპორტსმენები გულისყურით ეკიდებიან მწვრთნელის ყოველ სიტყვას, ყოველ მითითებას. ისინი ცდილობენ არ გამორჩეთ აღმზრდელის არც ერთი შენიშვნა. გიორგი ვარძელაშვილი კი... იგი დაუღალავად გადასცემს ნორჩ მოჭიდავეებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

სურათზე: გ. ვარძელაშვილი ატარებს მორიგ მეცადინეობას ახალბედა მოჭიდავეებთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები

ბაკურიანიდან ბოგდანოვკიდან

სპარტაკიადა

შეჯიბრება ჰოკეისტებმა დაიწყეს

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველოს ზამთრის I სპარტაკიადა ოფიციალურად გაიხსნებოდა, 6 თებერვალს საღამოს, ბაკურიანის „დინამოს" ჰოკეის სტადიონზე გამოჩნდნენ „თეთრი სპარტაკიადის" პირველი მერცხლები — ჰოკეისტები. სწორედ მათ ხვდათ წილად პატივი დასაბამი მიეცათ სპარტაკიადის „საქმიანი ნაწილისათვის", რომელიც ერთი დღით უსწრებდა საზეიმო გახსნას.

ჰოკეისტთა შეჯიბრებაში ჩაება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 8 გუნდი. ესენი არიან: საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი ახალქალაქის ნაკრები, აჭარის, ქუთაისის, თბილისის I და II, ახალციხის, ბორჯომის რაიონისა და მესტიის გუნდები. გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად, სადაც ჩატარებული წინასწარი თამაშების შემდეგ გაიმართება ფინალური შეხვედრები.

შეჯიბრების პირველ დღეს ორივე ქვეჯგუფში ჩატარდა თითო შეხვედრა, რომლებშიც ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ არათანაბარი ძალის გუნდები. თუმცა ამის თქმა თავდაპირველად, სანამ მიმდინარეობდა ქუთაისისა და ახალციხის ჰოკეისტთა მატჩის მე-6 წუთი, ძნელი იყო. თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, ორივე გუნდის კართან იქმნებოდა კრიტიკული მომენტები და მაყურებელიც თითქმის თანაბართა ასპარეზობის მოწმე იყო. მაგრამ, შემდეგ თანდათანობით გამოიკვეთა ქუთაისელთა ტექნიკური უპირატესობა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა აქტიური და მოძრავი ი. დემიდოვი, რომელიც სწრაფი ფინტებით უსხლტებოდა ზედიზედ რამდენიმე მოწინააღმდეგეს და არეულობა შექონდა მცველთა რიგებში. ამან მალე თავი იჩინა ანგარიშშიც. პირველი პერიოდი ქუთაისელებმა მოიგეს „მშრალი" ანგარიშით — 8:0. მეორე პერიოდში ანგარიში გაიზარდა 14:2-მდე, ხოლო საბოლოოდ ფიქსირებულ იქნა — 21:3. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში ი. დემიდოვმა გაიტანა 9 შაიბა.

ძალთა კიდევ უფრო დიდი სხვაობა იყო თბილისის I გუნდისა და მესტიის ჰოკეისტთა შეხვედრაში. ანგარიშით 21:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

7 თებერვალს, დილით, იმავე სტადიონზე დაიწყო ასპარეზობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები გამოდიოდნენ სავალდებულო პროგრამით ვარჯიშებში, რომლებიც გათვალისწინებულია მეორე თანრიგოსნებისათვის.

როგორც ცნობილია, შარშანდელ პირველობაზე ჩვენი სპორტსმენებიდან ვერცერთმა ვერ შეძლო მესამე თანრიგის ჩვენებაც კი. ახლა კი, წინასწარვე ვიტყვით, სავალდებულო პროგრამის ყველა 5 ვარჯიშის შემდეგ მეორე თანრიგის შესრულების შანსებს ინარჩუნებს რამდენიმე სპორტსმენი. ამ ვარჯიშების ჯამში შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ქალთა შორის პირველ ადგილზეა 13 წლის ი. არხანგელსკაია — 134,5 ქულა, მეორეზე — ნ. მანჯგალაძე — 130,70 ქულა, მესამეზე — ლ. დოლიძე — 105,3 ქულა. ვაჟთა შორის ლიდერობს 12 წლის ი. ჯაფარიძე — 147,7 ქულა, მეორე ადგილზეა ი. კუკულაძე — 117,4 ქულა, მესამეზე — თ. ხანიაშვილი — 115,6 ქულა.

ვაჟთა შორის ოსტატთა პროგრამით გამოდის სპორტის ოსტატი ე. პლინერი. სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ იგი ლიდერობს და აქვს 277 ქულა.

ზ. ვადაჭკორია

◉

ალამი აღმართეს

პლატოზე შედგა სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. ალლუმში მონაწილეობდნენ: აჭარის, თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალქალაქის, მესტიის, ბორჯომის, ცაგერის, ონისა და ყაზბეგის გუნდები.

ალლუმის ხელმძღვანელმა ხ. გვალიამ სპარტაკიადის მთავარ მსაჯს ვ. სამსონაძეს მოახსენა გუნდების მზადყოფნა შეჯიბრებისათვის. შეჯიბრების ალამი მოაქვთ რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებს: ლ. გოგოლაძეს, ი. ჯანგობეგოვს, პ. გავას და თ. კორძაიას, ამაგრებენ მას და საქართველოს ჰიმნის ქვეშ აღმართავენ ანძაზე.

სპარტაკიადა გაიხსნა. ამ დღეს გამოვლინდება ზამთრის I სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი და დანარჩენი პრიზიორები 30 კმ. რბენაში.

53 სპორტსმენმა მოიყარა თავი რბენის სტარტზე. ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ გამოჰყო უძლიერესთა ჯგუფი და შედარებით სუსტების შემდეგ მიეცა მათ სტარტი, მაგრამ დღის ბოლოს გამოირკვა, რომ არც „სუსტები" აპირებდნენ პოზიციების დათმობას. ზოგი მათგანი უძლიერესთა ათეულშიც კი მოხვდა.

მეხუთე კილომეტრზე მოწყობილ საკონტროლო პუნქტზე გ. სანაკოევი ერთ წუთს აგებდა ი. ვეზდენთან, ვლ. მიქაბერიძესთან (თბილისი I, „ბურევესტნიკი"), ე მორდვინოვთან და ვ. მიქაბერიძესთან (ბორჯომი, „კოლმეურნე"). უკან დარჩა დისტანციის ნახევარი — 15 კმ. ამ მანძილის გავლას გ. სანაკოევმა 59.50 წ. მოანდომა. უახლოესი კონკურენტები თ. კორძაია და ვ. მიქაბერიძე 1.10 წამით ჩამორჩებოდნენ და ეს სხვაობა თითქმის ორჯერ გაიზარდა დარჩენილ თხუთმეტ კილომეტრზე. დადგა ფინიშის დრო. დისტანცია პირველმა დაამთავრა მან, ვინც პირველი გავიდა სტარტიდან — ი. ვეზდენმა — 2:05.24, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ მესამე ადგილისათვის აღმოჩნდა საკმარისი. ჩემპიონი გახდა გ. სანაკოევი — 2:02.24. მეორე ადგილზეა მესტიელი თ. კორძაია. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ბორჯომელმა ვ. კორენკოვმა — 2:23.50. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა თბილისის პირველი კოლექტივი.

ამ დღეს კოხტა გორაზე გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის გამარჯვებისათვის იბრძოდა 23 სპორტსმენი. არ გაუმართლდათ უძლიერესებს — ი. ჯანგობეგოვს, შ. კოზანაშვილს (ორივე ბორჯომიდან) და თბილისელ გ. აბრამაშვილს. ისინი დაეცნენ ტრასაზე და დაჰკარგეს ძვირფასი დრო.

კარგად იმუშავა ი. თგანეზოვამ (თბილისი I, „ბურევესტნიკი"). იგი ორი კვირის წინ ტრავმირებულ იქნა და ამ სტარტამდე რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება შეძლო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ფრთხილობდა, რათა გუნდისათვის ჩათვლა მიეცა და... ერთბაშად მეორე კურდღელიც დაიჭირა — მოიპოვა ჩემპიონობა — 1.4,1.

უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ სამთო სახეობაში I ჯგუფის სამი (თბილისი, ბორჯომი, მესტია) და მეორე ჯგუფის ერთი (ქუთაისი) გუნდი გამოდიოდა მხოლოდ. ეს ციფრები კიდევ უფრო შემცირდა ქალთა შეჯიბრების დროს, სადაც თერთმეტ მონაწილეს შორის აშკარა იყო ლიანა გოგოლაძის (თბილისი I, „კოლმეურნე") უპირატესობა — 1.34,3. თბილისელებს ნ. ქურდოღლიანსა და ვ. მასიუკს (II გუნდი) დარჩათ მომდევნო ადგილები. პირველი დღის შემდეგ სპარტაკიადის სათავეში ჩაუდგნენ თბილისის I და ბორჯომის რაიონის კოლექტივები. მეორე ჯგუფში ლიდერობენ ქუთაისელები.

ო. გელაშვილი

ტბის ზედაპირზე

ბოგდანოვკა. (ტელეფონით). თოვს. ასეთ ცუდ ამინდს არ მოველოდით. არც სარბენი ბილიკია სახარბიელო. როგორც მოგეხსენებათ, სარბენი წრე მონიშნულია გაყინულ ტბაზე, რომლის ზედაპირი ხშირად სკდება და მორბენლებს ხელს უშლის სისწრაფის განვითარებაში. ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოს I სპარტაკიადა ზამთრის სახეობაში (აქ ტარდება მხოლოდ ციგურაობა) მაინც დავიწყეთ.

52 მოციგურე გამოვიდა სტარტზე და ზემოთმოყვანილი მიზეზების გამო, ვერც ერთმა ვერ აჩვენა მე-3 თანრიგზე მაღალი შედეგი. 500 მეტრზე ქალთა გარბენში გაიმარჯვა გ. ცილინამ (თბილისი I), მეორე იყო ა. ფომინა (თბილისი II), 1.500 მეტრზე ციგურებით რბენაში კვლავ გ. ცილინა იყო პირველი.

500 მეტრზე ვაჟთა გარბენში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: ტ. ბალიაშვილი (თბილისი I), გ. არეშიძე, ა. ჯავახიშვილი (ორივე თბილისი II), 5.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ბოგდანოვკელმა ვ. კარსლიანმა.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ა. დვალიშვილი

✦

უკანასკნელ საათს!

შეჯიბრების პირველ ტურში ცენტრალური შეხვედრა იყო ახალქალაქისა და თბილისის (II) ჰოკეისტთა გუნდების მატჩი. საქმე იმაშია, რომ ადრე, ამხანაგურ მატჩში ამ გუნდების შეხვედრა მიმდინარეობდა მეტად მწვავედ და დამთავრდა შარშანდელი ჩემპიონის — ახალქალაქის მინიმალური გამარჯვებით 2:1.

გუშინაც, საღამოს, ამ გუნდების კალენდარულ მატჩში მრავალრიცხოვანი მაყურებლები მწვავე, მეტად შინაარსიანი ბრძოლის მოწმენი გახდნენ. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 6:5.

ჯილდო დარჩა თბილისში

ხელბურთელ ვაჟთა ტურნირის ბოლოსწინა ტურში თბილისელებს მინსკის საკმაოდ ძლიერ გუნდთან ჰქონდათ საქმე. როგორც ყოველთვის, ჩვენმა გუნდმა თამაში სწრაფ ტემპზე და მოულოდნელ გარღვევებზე ააგო, მინსკელები კი მთელი მატჩის მსვლელობაში ცდილობდნენ როგორმე დაეგდოთ თამაშის ტემპი და თბილისელებისათვის კარის აღების საშუალება არ მიეცათ. დასაწყისში მინსკელთა ტაქტიკამ თითქოს გაამართლა და 15 წუთის მანძილზე ანგარიში „საფეხბურთო" იყო — 1:1, 2:2, 3:3. თბილისელები თამაშობდნენ შეჯგუფულად და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ფლანგებიდან შეტევას. ცერცვაძისა და ანთაძის დარტყმები ხშირად მიზანს ვერ აღწევდა. საბოლოოდ, მასპინძლები გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და თანდათან გაზარდეს ანგარიში—5:3, 6:4. ტაიმის ბოლოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და მასპინძლებმა 1 ნახევარი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 9:4.

მეორე ტაიმში თბილისელთა შეტევების უვნებელყოფა მინსკელებმა დროის გაყვანითაც ვერ მოახერხეს და თავის კარში დამატებით 13 ბურთი მიიღეს, თუმცა მათაც მოახერხეს მასპინძელთა კარში 9 ბურთის გატანა. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 22:13. თბილისელებიდან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ცერცვაძემ (6), ანთაძემ და კოპალეიშვილმა (5-5).

გათამაშების ბოლო ტურამდე კიეველები და თბილისელები დაუმარცხებლად მივიდნენ. სწორედ მათ შეხვედრაში უნდა გამოვლენილიყო ზამთრის არდადეგების პრიზის მფლობელი. მატჩი მიმდინარეობდა მეტად დაძაბულად. დასაწყისში ორივე გუნდის მოთამაშეები ნერვიულობდნენ, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა. შემდეგ გუნდებმა თვითეული ბურთის გატანისათვის თავგამოდებული ბრძოლა დაიწყეს. კიეველები დაცვაში იყენებენ ტაქტიკურ სქემას — 4 მოთამაშე ხაზზე, 2 წინ. თავდაპირველად ამ ხერხმა გასჭრა, მაგრამ შემდეგ თბილისელებმა მრავალჯერ მოახერხეს ამ დაცვითი სისტემის გარღვევა და მინიმალური ანგარიშით მოიგეს I ტაიმი— 10:9. ანთაძეს და ცერცვაძეს ლანდივით აკრულები ჰყავდათ კიეველი მოთამაშეები კობზარი და ივახინი. ამ უკანასკნელებმა ერთხანს მოახერხეს კიდეც მათი შებორკვა, მაგრამ გუნდის დანარჩენმა წევრებმა ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს და მეთოდურად დაიწყეს ანგარიშის გაზრდა. თამაშის მე-40 წუთზე თბილისელებმა ანგარიში საგრძნობლად გაადიდეს — 14:10. ოდნავი შეფერხება და კიეველებმა ანგარიშში განსხვავება მინიმუმამდე დაიყვანეს — 14:13 თბილისელთა სასარგებლოდ. შემდეგ თბილისელებმა 4 ბურთი გაიტანეს, რაზეც 2 საპასუხო მიიღეს და ეს მეტად დაძაბული მატჩი მოიგეს ანგარიშით 18:15. ამგვარად, თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიპოვა I ადგილი და დედაქალაქში დაატოვებინა კიეველებს ზამთრის არდადეგების გარდამავალი პრიზი. აღნიშნულ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 9 ბურთი, 3 — კოპალეიშვილმა, 2-2 ანთაძემ, ფხაკაძემ და ექსეულიძემ.

სამწუხაროდ, აღსანიშნავია, კიეველთა არასპორტული საქციელი, თბილისელებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ კიეველთა კაპიტანმა არსებული წესის მიხედვით ხელი არ ჩამოართვა არც მსაჯებსა და არც თბილისელთა კაპიტანს.

საუკეთესო ტექნიკისათვის მასპინძელთა კაპიტანმა თ. ანთაძემ მიიღო ალკკ თბილისის კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი — ბროლის თასი.

რა გვიჩვენა განვლილმა ტურნირმა? „ბურევესტნიკის" უმრავლეს გუნდებში, გარდა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბაქოს კოლექტივისა, საგრძნობლად ამაღლდა თამაშის კლასი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის „ბურევესტნიკი".

განვლილ ტურნირზე ნათელი იყო ჩვენი გუნდის წევრების კარგი ფიზიკური მომზადება. ისინი თამაშს აგებდნენ სწრაფ ტემპზე, მრავალფეროვანი იყო თავდასხმითი ტაქტიკა საჯარიმო წრიდან და შორი პოზიციებიდან. ჩვენი გუნდი ეფექტურად და ლამაზად ამთავრებდა შეტევით „ოპერაციებს" ფლანგებიდან. დაცვაში ძლიერი იყო მარცხენა ფლანგი. სასურველია, რომ მეკარის ჯ. აბაიშვილის თამაშში მეტი კვალიფიციურობა იგრძნობოდეს. კიევის გუნდზე, რომელსაც დიდი სატურნირო გამოცდილება აქვს, შეიძლება ითქვას, რომ იგი კვლავ აქტიური თამაშის პოზიციებზე იდგა, მაგრამ გუნდს არა ჰყავს შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმების შემსრულებელი მოთამაშე. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კიეველთა მეკარემ ვ. ცაპენკომ. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდზეც. როგორც ცნობილია, იგი სულ ერთი წელია, რაც მცირე ხელბურთზე გადავიდა და შეიმჩნევა, რომ გუნდს აქაც აქვს წარმატებები, თუმცა მათ თამაშში ჯერ კიდევ არის მრავალი ნაკლიც. კოლექტივი ჯერჯერობით თამაშობს დაბალ ტემპში, თავდასხმა მწვავედ ვერ უტევს და დიდ ადგილს უთმობს ინდივიდუალურ თამაშს.

განვლილი ტურნირი ხელბურთელთა ოსტატობის კარგი გამოცდა და შემოწმება იყო მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ, რომელიც მიმდინარე წლის მარტის თვეში დაიწყება.

ჯ. ენუქიძე

მხატვრული ტანვარჯიში

ფოტო ი. საგანელიძისა.

ყოველი [illegible]

პარიზი. საფრანგეთის ნაკრების მარცხმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მისი ხელმძღვანელობის ცვლა გამოიწვია. ჟ. ვერიე და ა. ბატიო ნაკრების მწვრთნელობიდან განთავისუფლებული არიან. ამიერიდან გუნდს სათავეში ჩაუდგა ქ. სნელა. იგი თავის დროზე ხელმძღვანელობდა პროვინციულ კლუბ „სენტ-ეტიენს", რომელმაც სამი წლის წინ ყველასათვის მოულოდნელად პირველი ადგილი დაიკავა საფრანგეთის ჩემპიონატში. შარშან ჟენევის (შვეიცარია) გუნდმა „სერვეტმა", რომელსაც უკანასკნელ ხანებამდე ხელმძღვანელობდა ქ. სნელა, ასევე პირველი ადგილი დაიკავა შვეიცარიის ჩემპიონატში.

ბარსელონა. თავისებურ ტურნირს აწყობს კლუბი „ბარსელონა"; მასში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიისა და ესპანეთის ვეტერანთა ნაკრები გუნდები. ფეხბურთელები არ უნდა იყვნენ 37 წელზე უფრო ახალგაზრდები.

ტურინი. „ფიატის" ცნობილი ავტოკონცერნის პატრონი და იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსის" მფარველი ს. ახელი, შეშფოთებულია გუნდის სუსტი თამაშით. მისთვის საკმარისი არ არის, რომ „იუვენტუსში" თამაშობენ სივორი და ჩარლზი. ამას წინათ ანელის ემისრებმა კიდევ ერთხელ მიმართეს ბრაზილიის „სანტოსის" მეპატრონეს წინადადებით, მიყიდოს „იუვენტუსს" პელე (რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ).

სანტ-იაგო. ჩილეში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი. მან დაათვალიერა სასტუმრო, რომელიც 10 კმ-ზე იმყოფება სანტ-იაგოდან და სადაც გერმანელები დაბინავდებიან მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ეს სასტუმრო კორდილიერების მახლობლად იმყოფება.

პროფესიონალიზმის მორევი ნთქავს სპორტსმენებს

დიდ ოლიმპიურ ქარტიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია შემდეგი პუნქტი: სპორტსმენი, რომელიც თავის მიღწევებს და გამოსვლებს გამოიყენებს პირადი ანგარების მიზნით, არ დაიშვება ოლიმპიურ თამაშებზე. იგი ცხადდება პროფესიონალად და სამუდამოდ ეთიშება სამოყვარულო სპორტს.

ეს ულმობელი და შეულახავი კანონია, რომელმაც არ იცის შეღავათი. ადამიანი სპორტს უნდა მისდევდეს არა რეკლამისა და გამდიდრების მიზნით, არამედ მხოლოდ ფიზიკური წრთობისა და წმინდა სპორტული მიღწევებისათვის. ოლიმპიურ თამაშებზე არ უნდა იყოს მონაწილე, რომელსაც თავისი სპორტული გამოსვლებისათვის მიღებული აქვს გარკვეულ თანხაზე მეტად ღირებული ჯილდო, ან სპორტი თავის შემოსავლის წყაროდ აქვს გამოყენებული. ამავე პრინციპით ეწყობა მსოფლიო პირველობები სპორტის უმრავლეს სახეობებში (გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, ფეხბურთი, სადაც პროფესიონალები და მოყვარულები თანაბარი უფლებით არიან დაშვებული).

პროფესიონალიზმი და სამოყვარულო სპორტი. ამ საკითხზე დიდი ხანია წარმოებს დავა საერთაშორისო სპორტულ წრეებში, ვინაიდან უცხოეთში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე ცდილობენ გაამართლონ პროფესიონალიზმი, „თეორიული საფუძველი" გამოუძებნონ მას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათი ეს „თეორიული ძიებანი" ვერც სათანადო დასაბუთებას პოულობს, ვერც მხარდაჭერას. ან რა გამართლება უნდა ჰქონდეს იმ უმგვანო კომერციას, მაქინაციურ ალებ-მიცემობას, როცა ბრწყინვალე მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენები, რომელთა ნიჭი მარადიული ოლიმპიური აღიარების ღირსია, იძულებული არიან შეეწირონ მდარე ხარისხის საცირკო სანახაობებს, ადამიანის ღირსების დამამცირებელ სპექტაკლებს ძაღლებთან, კენგურუებთან და ცხენებთან შეჯიბრებებში, ან დელფინებთან ყვინთვაში.

ვინ ჩამოთვლის, რამდენი პირველხარისხოვანი სპორტსმენი შთანთქა პროფესიონალიზმის მორევმა. რამდენი შესანიშნავი ათლეტი ჩამოსცილდა სამოყვარულო სპორტს და მის სახელს ამიერიდან ვხვდებით არა რეკორდსმენთა და ჩემპიონთა საპატიო სიაში, არამედ ბულვარული გაზეთების სკანდალურ ქრონიკაში.

ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არა ფეხბურთელებზე, კალათბურთელებზე ან მოკრივეებზე, რომლებიც ასე თუ ისე მაინც სპორტსმენებად რჩებიან და სამოყვარულო სარბიელის ნაცვლად პროფესიონალურ სარბიელზე იბრძვიან. განსაკუთრებით უმგვანოა ის, რომ გამოჩენილ სპორტსმენს კონტრაქტის ყოვლისმძლე პუნქტის შესაბამისად უხდება დამფრთხალ კურდღელს სდიოს მაყურებელთა აუწერელი ღრიანცელის ქვეშ და ტაკი-მასხარას როლი შესრულოს.

ასე გამოსტაცეს ამერიკულ სამოყვარულო სპორტს ლეგენდარული მოცურავე ჯონი ვეისმიულერი, რომელსაც არაადამიანური ხმით აღრიალებდნენ ტარზანის როლში და ჰიპოპოტამებთან აჭყუმპალავებდნენ მღვრიე წყალში. ასე ეჯიბრებოდა ძაღლებსა და ცხენებს ოლიმპიური გმირი და მსოფლიო რეკორდსმენი ჯესი ოუენსი, ხოლო ულამაზესი მოცურავე ქალი ენ კერტისი იძულებული იყო შეთითხნულ პანტომიმებსა და საწყლოსნო სანახაობებში გამოსულიყო საკურორტო ქალაქების აუზებში. ასე დატოვა სულ ახლახან „დიდი ფიცარნაგი" შტანგისტმა პაულ ანდერსენმა, რომელიც კლასიკურ სამჭიდში მსოფლიო რეკორდსმენის წოდებიდან ჩამოქვეითდა ისე, რომ იაფფასიანი ტრიუკებით ართობდა მაყურებლებს. პ. ანდერსენი მაგალითად, კისერზე ჯაჭვებით იკიდებდა დაფას, რომელზეც ისხდნენ IV კლასის მოსწავლეები მთელი შემადგენლობით თავიანთი კლასის ლამაზ დამრიგებელთან ერთად.

ნაადრევად ჩამოსცილდნენ სარბიელს საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები ა. ჰარი, რ. ნორტონი, გ. დევისი, რ. ჯონსონი, ქ. კაუფმანი, ჯ. გრინჰემი, ე. ჰიმსონი, ზ. კრები, დ. ბრეგი, ქ. ჰეისი, ტ. ზაილერი და სხვანი. დიდი ხანი არაა, რაც მათ რიცხვს მიემატა ინგლისელი სტაიერი გ. პირი, რომელმაც თავისი კარიერა პროფესიონალურ სპორტში დაიწყო იმით, რომ მარცხი განიცადა ორ მძლეოსანთან შეჯიბრებაში კორიდას არენაზე და გარდა ამისა, საქვეყნოდ სირცხვილი ჭამა, როცა ვ. კუცს ცილი დასწამა დოპინგის მიღებაში.

ყველაფერი ის, რაც ზევით ითქვა, ეხება ოფიციალურად აღიარებულ და დაკანონებულ პროფესიონალიზმს. სპორტსმენებს, რომლებიც ფაქტიურად ჩამოცილებული არიან ოლიმპიურ სპორტს. მაგრამ უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს პროფესიონალიზმის მალული, „არალეგალური" სახეობანი: ქრთამები, უკანონო ანაზღაურებანი, ფარული საჩუქრები და ა. შ.

აი რას წერს ცნობილი ტრინიდადელი სპრინტერი მ. აგოსტინი, რომელიც დიდ ხანს იმყოფებოდა სტუდენტად ამერიკის შეერთებულ შტატებში: „კარგ მძლეოსანს შეუძლია 10 ათასამდე დოლარი იშოვოს წელიწადში სხვადასხვა საშუალებით. ფასების რეგულირება ხდება მოთხოვნის მიხედვით: 50-125 დოლარი სპრინტერს, 100-600 დოლარი — საშუალო მანძილზე მორბენალს და 1.000 დოლარამდე — სტაიერს.

მ. აგოსტინიმ თავის სენსაციურ წერილში ყველა კარტი გაშალა. „1958 წელს მე გამოვდიოდი საფრანგეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ფინეთის, ნორვეგიის, შვეციისა და დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე და ყოველთვის გაუთავებელი დავა მქონდა შეჯიბრებათა ორგანიზატორებთან. მარტო ფინეთსა და შვეციაში მე მივიღე 1200 დოლარი წმინდა შემოსავალი. სკანდინავიის ქვეყნებში გასამრჯელოს ანაზღაურების ასეთი პრაქტიკაა: სპორტსმენს ყოველ ქალაქში აძლევენ თვითმფრინავის ბილეთს ვითომ სამშობლოში დასაბრუნებლად, იგი კი იქვე აბარებს ბილეთს, ღებულობს ფულს და განაგრძობს გასტროლებს მეზობელ ქალაქში".

ტრინიდადელ სპრინტერს ერთი ასეთი საინტერესო ფაქტი მოჰყავს: ერთ ცნობილ მორბენალს, ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელს უხდიდნენ თითო დოლარს დისტანციის ყოველი იარდის გარბენისათვის ერთხელ მას 440 იარდზე რბენის წინ ჩააბარეს 400 დოლარი. სპრინტერმა გაირბინა ზუსტად 400 იარდი და შეწყვიტა რბენა „კუნთის გაჭიმვის" გამო. როცა შეჯიბრების ორგანიზატორებმა შეშფოთება გამოთქვეს მისი ფეხის ტრავმის თაობაზე, სპორტსმენმა უპასუხა — ფეხს არა უშავს, კარგადაა. რამდენი დოლარიც თქვენ გადამიხადეთ, მეც იმდენი გავირბინე.

მ. აგოსტინის ეს აღსარება გამონაკლისი არაა. დასავლეთის პრესაში ხანგამოშვებით გამოჩნდება ხოლმე სკანდალური ცნობები მოყვარულ სპორტსმენთათვის უკანონო თანხების გადახდის შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ა. ჰარისა და დ. ვერნის „საქმეები", რომლებსაც ნამდვილად „მგლის მადა" აღმოაჩნდათ და ვერ მორიგდნენ ორგანიზატორებთან.

ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში ლაპარაკია არა იმ თანხაზე, რომელსაც სპორტსმენს უნაზღაურებენ შეჯიბრების გამო სამსახურში გაცდენილი დროისათვის. საქმე ეხება „საფასურს სტარტისათვის," რაც სასტიკად აკრძალულია სამოყვარულო სპორტში. აკრძალულია, მაგრამ მაცთური დოლარების ალებ-მიცემობა მაინც გრძელდება და ეს უმსგავსოება სულ უფრო თავხედურ, დაუფარავ ფორმებს ღებულობს.

მართალია, აქა-იქ იბრძვიან ამ „ცრუმოყვარულობის" წინააღმდეგ. მაგალითად, საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ თავის სპორტსმენებს ერთი წლით აუკრძალა შვეციაში გამოსვლები, ვინაიდან იქ მძლეოსნებს უხდიან ძვირფას საჩუქრებს, რითაც არღვევენ სამოყვარულო სტატუსს. მაგრამ ამგვარ მებრძოლთა რაოდენობა მეტად მცირეა.

გაზეთ „ეკიპში" ამას წინათ დაიბეჭდა დიდი წერილი სათაურით: „სამოყვარულო სპორტი ვულკანის თავზე ცეკვავს". სამართლიანი აღიარებაა, მაგრამ მალული ვაჭრობა იარდებით, მეტრებითა და წამებით კვლავინდებურად გრძელდება.

ზ. სტაჟაძე

ფეხბურთის ქრონიკა

მექსიკაში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მოულოდნელი დამარცხება განიცადა უნგრეთის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „უიპეშტმა" მექსიკის „ტოლუკასთან" შეხვედრაში — 0:2. ამის შემდეგ უნგრელებმა კიდევ ერთი მატჩი წააგეს ბრაზილიის ცნობილ კლუბ „ბოტაფოგოსთან" — 2:4.

ესპანეთში საგასტროლოდ ჩავიდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა". იუგოსლაველები ბარსელონაში შეხვდნენ ადგილობრივ „ესპანიოლს" და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — 1:2.

• • •

სამხრეთ ამერიკის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში უნდა შემდგარიყო 1961 წელს, მაგრამ მოახლოებული მსოფლიო პირველობის გამო გათამაშება გადაიდო. იგი ჩატარდება 1963 წელს ბოლივიაში.

შეიცვალა ამ შეჯიბრების ჩატარების ვადებიც. ამიერიდან იგი გაიმართება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ (უწინ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ტარდებოდა ყოველ 2 წელიწადში ერთხელ).

რედაქტორი ი. უზულავა.

8 - 12 თებერვალი

ვ. ი. ლენინის სახელობის
სპორტული დარბაზი
საქართველოს სსრ ზამთრის
პირველობა „ა" კლასის
გუნდებს შორის

კალათბურთში

დასაწყისი დღის 10 საათზე, საღამოს 16 საათზე.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი და გაზეთ „ლელოს" კოლექტივი იუწყებიან ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგის სპორტის ოსტატ შალვა ჩახნაშვილის მამის

ალექსანდრე ჩახნაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3.01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომ-ტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05648